**სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა**

**მოსამართლეობის კანდიდატის** *სანდრო გიორგაშვილის* **შეფასების შედეგი:**

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
|---|---|
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**

| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| სამართლის ნორმების ცოდნა | 14 | 20 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 14 | 20 |
| წერის უნარი | 14 | 20 |
| ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 12 | 15 |
| პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში | 13 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 3 | 5 |
| პროფესიული აქტივობა | 3 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | 73 | 100 |

**ლევან ნემსაძე** ლ. ნემსაძე

**თარიღი:** 16.09.2024

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

## ლევან ნემსაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის- სანდრო გიორგაშვილის

## შეფასება დასაბუთება

**1. პროცედურის შესახებ:**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, დაიწყო სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში, კანდიდატად დარეგისტრირდა სანდრო გიორგაშვილი ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც დეტალურად გავეცანი. 2024 წლის 4 სექტემბერს ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა, რომელშიც მივიღე მონაწილეობა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე, შევაფასე - ,,კანონის" 35[1] მუხლის მე-15-მე-17 პუნქტების შესაბამისად.

ამასთან, საყურადღებო და გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კანდიდატი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაშიც მონაწილეობდა, რომლის ფარგლებშიც მასთან გასაუბრება გაიმართა 2024 წლის 2 სექტემბერს და ჩემს მიერ იქნა შეფასებული.

ვინაიდან ზემოაღნიშნული ორი კონკურსის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა 2-3 დღის ინტერვალით და აღნიშნული კანდიდატი ჩემს მიერ პირველი კონკურსის ფარგლებში უკვე შეფასებულ იქნა, გამომდინარე აქედან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით გამოცხადებულ კონკურსში მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე ზემოაღნიშნული ორივე კონკურსის კითხვა-პასუხის შედეგები.

**2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ**:

კანდიდატი - 61 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება მაგისტრი (თსუ, 1986 წელი)

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: 31 წელი

მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება: 11 წელი

მოსამართლის თანამდებობაზე განწესების თარიღი: 1993 წელი, კერძოდ:

- 2004 – 2007 წლებში იყო გურჯაანის რაიონული პროკურორის მოადგილე;
- 2007 - 2012 წლებში იყო შპს „სოკარ ჯორჯია გაზი-კახეთი" იურისტის თანამდებობაზე;
- 2012 – 2021 წლებში იყო გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორი;
- 2021 წლის 30 აპრილიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამხედრო და სამოქალაქო მიმართულებით სამსახურებრივი შემოწმების სამმართველოს უფროსი.

**მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება: 11 წელი**

- 1993 – 1999 წლებში იყო ყვარლის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;
- 1999 – 2004 წლებში იყო გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. გამოარჩევენ კანდიდატის პროფესიულ სინდისს და პიროვნულ დამოუკიდებლობას, მედეგობას, შრომისმოყვარეობას, პასუხისმგებლობას, კეთილსინდისიერებას. განმარტავენ, რომ კანდიდატი არის პუნქტუალური, თავაზიანი, პრინციპული და გაწონასწორებული პიროვნება. ერთერთი რეკომენდატორი სისუსტესა და ნაკლოვანებებში უთითებს ზოგიერთ შემთხვევაში კანდიდატის გადაჭარბებულ ლმობიერებას.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი მოსამართლეობის კანდიდატობის, საპროკურორო საქმიანობის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატობის (წარსულში კანდიდატი ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად იქნა წარდგენილი; ასევე - შუალედურ არჩევნებში იყო

დამოუკიდებელი კანდიდატი მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობისათვის) შესახებ.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით.
კანდიდატის სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 2522;კვ.მ. 30000; კვ.მ. 12572კვ.მ. 9897 კვ.მ; 689 კვ.მ; ყვარელში სოფელი გავაზი.
უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 8 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში კანდიდატის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი. მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა მოიძია კანდიდატის მიერ გურჯაანის რაიონულ სასამართლოში განხილული 5 საქმე (2 სამოქალაქო საქმე და სისხლის სამართლის 3 საქმე). ამ საქმეთა განხილვისას კანდიდატის მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ მსჯელობები ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია; თუმცა - ზოგჯერ სათანადოდ არ იყენებს სასვენ ნიშნებს, ასევე - აზრს აყალიბებს რთული წინადადებების გამოყენებით, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას (აღქმას) გარკვეულწილად აფერხებს.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა 2014 წელს, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

**კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში:**

- სემინარი სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის თემაზე - საქართველოს გენერალური პროკურატურა
- სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) - საქართველოს გენერალური პროკურატურა 2018 წ.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - საქართველოს გენერალური პროკურატურა
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - საქართველოს გენერალური პროკურატურა

იგი არ ეწევა პედაგოგიურ/სამეცნიერო საქმიანობას.

ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

სანდრო გიორგაშვილი საბჭოს მიერ გამოცხადებულ მოსამართლეობის მეცამეტე კონკურსში მონაწილეობს.

**იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონით დადგენილი წესით კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგების ანალიზის საფუძველზე შევაფასე კანდიდატის კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების თითოეული მახასიათებელი.**

**3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით**:

,,პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისის" მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების შესრულებისას, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულება და ა.შ.

კანდიდატის შესახებ მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად, ირკვევა კანდიდატს ბოლო 3 წლის განმავლობაში უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 8 ფაქტი. დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად. შესწავლილ მასალებში კანდიდატის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების ფაქტი არ ფიქსირდება. კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებში რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.**

,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის'' მახასიათებელი მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა.

რეკომენდატორები კანდიდატს პრინციპულ, შეუვალ, გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.**

,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება, კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი.

კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, გასაუბრების პროცესში არის თავდაჭერილი და ზრდილობიანი. რეკომენდატორები კანდიდატს თავაზიან და გაწონასწორებულ პიროვნებად ახასიათებენ. მიმაჩნია, რომ მისი ქცევა იქნება სათანადო და ადეკვატური სამოსამართლო ფუნქციის განხორციელებისას.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.**

„პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ასევე ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით. ამ დასკვნის გამაქარწყლებელი საპირისპირო, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ჩემთვის უცნობია. შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი **აკმაყოფილებს „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.**

კანდიდატის შემოსავლის, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი. **შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს „ფინანსური ვალდებულების" მახასიათებელს.**

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის" 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

**4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:**

საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც სამართლებრივი, ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და კომპეტენტური.

კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული საკითხების ცოდნა. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მეტ-ნაკლებად სათანადო ცოდნა. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის პასუხები იყო ძალიან ზოგადი ხასიათის. ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხი არ იყო გაცემული, ან/და იყო ხარვეზიანი.

აღნიშნული კითხვა-პასუხის და მათი სირთულის გათვალისწინებით გავაკეთე დასკვნა და **„სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე -14 ქულით.**

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული და წარმოდგენილი ინფორმაციით კანდიდატის მიერ განხილული საქმეების თაობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ **„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი უნდა შეფასდეს -14 ქულით.**

შევაფასე იუსტიციის უმაღლესი საჭოს შესაბამისი სამსახურია მიერ მოძიებული, კანდიდატის მიერ მიღებული, სასამართლო გადაწყვეტილებები. უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობა ძირითადად ლოგიკურია, კანდიდატს გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის უნარი. თუმცა კანდიდატი ხშირად იყენებს რთულ წინადადებებს, რაც ვფიქრობ მხარეთათვის აღქმადობის კუთხით დაბრკოლებას წარმოადგენს; ასევე შეიმჩნევა პუნქტუალური უზუსტობები.

**შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 14 ქულით.**

კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია აღვნიშნო, რომ მეტყველებს გამართულად, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოსცემს; მსჯელობს ლოგიკურად; აქვს უნარი სხვისი აზრის მოსმენისა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, „ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 12 ქულით.**

კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციისა და მასთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს გადაწყვეტილებების მომზადების სათანადო უნარი, არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე.

**ამდენად მივიჩნიე, რომ კანდიდატი პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 13 ქულით.**

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში იშვიათადაა ჩართული; გააჩნია სათანადო ინტერესი ცოდნის, ახალი გამოცდილებისა და უნარების შეძენისა. მასთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ არის შრომისმოყვარე და ღიაა სიახლეების მიმართ.

კანდიდატი **„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 3 ქულით.**

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. ამასთან, იგი ხშირად არ ყოფილა ჩართული მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სემინარებსა და შეხვედრებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შევაფასე 3 ქულით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანდიდატს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 73 ქულას.

ხელმოწერა

თარიღი: 16.09.2024